ციდან ვარსკვლავების მოწყვეტას არ ვაპირებთ, ბედის ვარსკვლავის კი გვჯერა

# ნათლისვეტი

საქართველოს ეროვნული კონსტიტუციური ალიანსის საკორდინაციო საბჭოს ორგანო
№1 ( 5 ) ავნისი გაზეთი გამოდის 1989 წლის ენკენისთვიდან

## შეაყარე კედელს ცერცვი

დაკვირვებული თვალი ადვილად შეამჩნევს: დიდ ძმებს, დაახლოებით ათ-თხუთმეტ წელიწადში ერთხელ მაინც წამოუვლით, გამოსაშვებ სისხლს „ინტერნაციონალიზმის“ სახელით გამოუშვებენ და იქით ვალს დაგდებენ, შენი კულისთვის რამდენა მსხვერპლი გაიღეო.

ცუდი ამბები ხდება ამჟამად მეზობელ რესპუბლიკებში — სომხეთსა და აზერბაიჯანში. ერთმანეთს დაერივნენ სარწმუნოებით სხვადასხვა, მაგრამ ისტორიული გარდაუვალობით მეზობელი ხალხი.

შემზარავი ამბავია, ტრაგედია.

ორთავე ერს ერთნაირად უჭირს, მაგრამ მაინც არც ერთისა და არც მეორის კანონიერ თუ უკანონო ხელისუფლებას კრემლისათვის არ მიუმართავს, დაგვეხმარეთო. ცენტრმა კი, როგორც ყოველთვის, თავი მომრიგებელ მოსამართლედ გამოაცხადა, ბაირადად ყბადაღებული „კონსტიტუციის“ II9 მუხლი და იჭირა და დაუკითხავად ორთავე რესპუბლიკაში ჯარი შეაგზავნა. ოღონდ ახლა მთლად გაცვეთილი სიტყვა „ინტერნაციონალიზმი“ არ უხმარია, უბრალოდ აქციას კანონიერების აღდგენა დაარქვა.

არანაკლებ საგანგაშო ხმები მოდის რუსეთიდანაც. ხალხი სულს ღაფავს, საჭმელ-სასმელი არა აქვს. ტოტალიტარიზმი კი იმის მაგივრად, რომ რაიმე გონიერი ზომები გამონახოს – დაუშვას მრავალპარტიული სისტემა, აღადგინოს კერძო საკუთრება, მისცეს ადამიანს აზროვნების უფლება და ა.შ. გაჭირვებული ხალხის ყურადღების გადასატანად სისხლიან აქციებს აწყობს და მუსკულებს ათამაშებს.

ამაზეა ნათქვამი – შეაყარე კედელს ცერცვიო.

სომხებსა და აზერბაიჯანელებს ისე მიუკიბ-მოუკიბეს საზღვრები, ჯერ რომანოვებმა (ირან-თურქებთან ერთად) შემდეგ კი ბოლშევიკებმა, რომ იქ მტყუან-მართალის დადგენას ჩვენში ვერავინ შეძლებს. ამიტომ ალბათ უპრიანი იქნება ეს ამბავი იმპერიის საზღვრებს გასცდეს და საერთაშორისო სამართლის განხილვის საგნად იქცეს.

## განუკითხაობა

ხელისუფლება კვლავ მიმართავს ზოზინის პოლიტიკას, კმაყოფილდება კანტი-კუნტი იმფორმაციით, რომელსაც შინაგან საქმეთა სამინისტრო აქვეყნებს. ეს არის და ეს. საფუძვლიანი ანალიზით ჯერ არ წარმდგარა საზოგადოების წინაშე რატომ ხდება არეულობა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში.

პოლიტიკა - არც მწვადი დაიწვას და არც შამფური უნდა განვმარტოთ, რომ დღეს უკვე ანაქრონიზმია, რადგანაც შამფური დღეს ლითონისაა და ის არ დაიწვება, ხორცი კი თუ ცენტრიდანაა გამოგზავნილი ბევრს არაფერს დავკარგავთ იმით.

სამხატვრო გალერეის წინ კვლავ არიან გაფიცული ქართველი ქალები.

როდემდის?

როდემდის განუკითხაობა და უპასუხისმგებლობა ქართველი დედების მიმართ? (ამის შესახებ იხ. გაზეთის მე-8 გვერდზე ინტერვიუ პროკურორ რაზმაძესთან).



ნათლისვეტი

# შეიცან თავი შენი

1909 წელს პეტერბურგში გამოცემულ გერმანულიდან ნათარგმნ „მსოფლიო გეოგრაფიის" სერიიდან პროფესორ ვილჰელმ სივერსის წიგნში „აზია" ვკითხულობთ (გვ. 208):

ოსების რაობის შესახებ

„მეტად თავისებური ტომია ოსები, ანუ ოსეთები, რომელიც ცხოვრობს ადიახოსისა და ყაზბეგის ჩრდილოეთით და ჯერ კიდევ ითვლის 130 ათას სულს. მათი ირანული ენიდან და ისტორიული მოსაზრებებიდან გამომდინარე, მათში ხედავენ კავკასიაში ძალით დასახლებულ მიდო-სპარსთა შთამომავლებს. თვით ისინი თავიანთ თავს უწოდებენ რან-ს ან ირონი-ს. თავიანთი სარწმუნოების მიხედვით ისინი ნაწილობრივ მუსულმანები არიან, ნაწილობრივ ქრისტიანები, თუმცა ერთნიც და მეორენიც რელიგიურ საკითხებს ეკიდებიან ზერელედ".

ამავე წიგნის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ოსების რომელიმე ხშირი, ხალხმრავალი დასახლება ყაზბეგის სამხრეთით საერთოდ არ ყოფილა. საგულისხმოა, რომ ოსთა მოსახლეობა გასულ საუკუნის დამლევს შიდა ქართლში ოსთა ახლანდელი ძირითადი დასახლების ადგილას 5 ათასამდეც რომ ყოფილიყო, წიგნში იქნებოდა აღნიშნული, რადგან სხვა ასეთი რაოდენობის მოსახლეობა და უფრო მცირეც კი მოცემულია მასში.

აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ ოსური მოსახლეობა მე-20 საუკუნეში კი არ გამრავლებულა საქართველოში, არამედ გაჩენილა და საოცრად სწრაფადაც უზარტყია. ეს, რა თქმა უნდა, არ მოხდებოდა, მათთვის ქართველებს ხელი რომ არ შეეწყოთ.

ახლა ყველასათვის ნათელია ოსთაგან ქართველებისადმი ლაჩრული ღალატის ამბავი. აი ასე მზაკვრულად ცოდნიათ მათ ამაგის დაფასება.

## რას ელოდებით?

მოგმართავთ თქვენ-ყაზბეგ თიბილოვო და ხელიმხან თვაურო, ანზორი, გურამ, ვალიკო და სულთან სანაკოევებო, შოთა ჯეირანაშვილო და ჯემალ კარკოზაშვილო, ზეუან და ფელიქს ქუმარეტაშვილებო, გოგი ჯიჭოევო და იბრაგიმ გობოზოვო დიდო და პატარა გია დიაკონაშვილებო და სხვებს, რომლებიც ჯერ კიდევ ძმებად და მეგობრებად მეგულებით.

რას ელოდებით!

თქვენ ხომ უმრავლესობას ცოლი, დედა ან ნათესავი ქართველი გყავთ, საქართველოში დაბადებულნი და გაზრდილნი და ქართველებზე მეტად თუ არა არანაკლებ დაფასებულნი რატომ არ ჩახვალთ იქ, შფოთის ბუდეში და არ განუმარტავთ თქვენიანებს, რომ ჩვენს შორის შუღლი და მტრობა არასდროს ყოფილა. ჩვენ მუდამ ერთი სატკივარი და ლხინიც ერთი გვქონია და გაგვიყვია, ერთ ჭერქვეშ გვიცხოვრია. ჩემი და თქვენი მაგალითის არ იყოს, მეგობრები ვყოფილვართ. დღეს რა მოგვდის?

რატომ არ ეუბნებით მათ გონს მოეგონ, სანამ გვიან არ არის და ყველაფერი, ოხრად არ დაგვრჩენია! ის მაინც გაიხსენეთ მამლაყინწები რომ წაძიძგილავდნენ, ვინ დასტაცათ პირი!...

პატივისცემით

ზურაბ ჯანიაშვილი




# მკითხველმა შეაფასა

მკითხველი უმალ შეიცნობს ალბათ მხატვრის მიერ ჩვენი რედაქციისთვის შემოთავაზებულ ამ სურათს იგი „ნათლისვეტის" 3-4 ნომერში დაიბეჭდა და, როგორც შემოსული წერილები მეტყველებენ, საზოგადოებრიობის ინტერესი დაიმსახურა. ავტორთა უმრავლესობა სწორად საზღვრავს მხატვრის ჩანაფიქრს: მ.გორბაჩოვს სურს ქვეყნის სწრაფი დემოკრატიზაციის გზით წაყვანა, მაგრამ მას გასაქანს არ აძლევენ და აფერხებენ იმპერიული სახელმწიფოს შენარჩუნების მომხრენი. ისინი სახელმწიფოს მეთაურს არ აძლევენ შორს გამიზნული გარდაქმნების განხორციელების საშუალებას და მიჯაჭვული ყავთ და მხოლოდ გარკვეული პოლიტიკური რადიუსის ფარგლებში მოქმედების შესაძლებლობას უნარჩუნებენ.

ვფიქრობთ მკითხველებმა სწორედ ამოიცნეს ნახატის არსი.

გთავაზობთ წერილებს ავტორთა მიერ ამ ნახატისათვის შემოთავაზებულ რამდენიმე დასათაურებას:

შორს ვერ წავალთ (თ. მოსულიშვილი გურჯაანი); მოსალოდნელი რეკორდი (ა. ბადირაშვილი, გორი); მიჯაჭვული პრომეთე (ზ. ბეჭვაია, ზუგდიდი); შორს ვერ გატყორცნის (ა.კიზორძალიძე, ქუთაისი); უსახელო ჩემპიონი (ჯ.მაღრაძე, ხარაგაული); აუტსაიდერის ცდა (ჯიბო დვალი, თბილისი); უიღბლო დემოკრატი (კ.მამალაძე, თბილისი); ასე იყო, ასე იქნება (ი.ნინოშვილი, თბილისი); ასეთია ჩვენი ბედი (ო.იამანიძე, სამტრედია); ფეხზე არ დაიცეს (ა.სპანდერაშვილი, წნორი).

ძალა... თავსზემოთ არის! (მ.ტვილდიანი, ქ.თბილისი)

ჩამეხსენი ჩოჩილოელო,  
რა მაქვს შენთან საზიარო,  
შვით ოხერო, მიუვლელო,  
როგორ უნდა მომიარო!

აკაკი

# დროის მოთხოვნის შესაბამისად

ჩვეულებრივ ამბად იქცა უკანასკნელ პერიოდში ჩვენს დედაქალაქში მიტინგები.

მოდიან დანიშნულ დღესა და საათს კინოს სახლის წინ ზამთარსა თუ ზაფხულში, დარსა თუ ავდარში მოხუცი თუ ახალგაზრდა, ქალი თუ კაცი და მიტინგის დაწყების მოლოდინში ჯგუფ ჯგუფად დგებიან.

მსჯელობენ, კამათობენ დინჯად, დარბაისლურად, ზოგჯერ გაცხარებით და ემოციებით ჩემი სისხლისა და ჯილაგისანნი ერის დიდებულ წარსულზე და სავალალო აწმყოზე, ერთობ ბუნდოვან მომავალზე და იმ სასიკეთო კონტურებზე, რომლებიც იკვეთება პოლიტიკურ ასპარეზზე.

ბევრი რამ მიზიდავს და მანცვიფრებს მე მათ ქცევებსა და მსჯელობებში ურთიერთ სიყვარული, საოცარი თავაზიანობა, გაგება და პატივისცემა. მე არ შემხვედრია ამ ზღვა ხალხში ბოლო ხანებში ადამიანი, უღირსად რომ მოქცეულიყოს. და ეს მაშინ, როცა ჩვეულებრივ ურთიერთობებში ასე მკვეთრად იგრძნობა ადამიანის გაუცხოება და ეგოიზმი.

რა ხდება, რამ მოაბრუნა ადამიანი მხოლოდ ამ გარემოში სიკეთისა და კაცთმოყვარეობისკენ?

თავად მიზეზმა, რამაც შეჰყარა აქ ამ ცისქვეშეთში ამოდენა ხალხი. მიზნის ერთობამ, სიწმინდემ, პასუხისმგებლობამ, ერის წინაშე აიძულა ისინი დაეძლიათ ქვენა გრძნობები, ასე ლამაზად შეთანაწყობოდნენ ერთმანეთს თანამემამულენი...

„ზოგჯერ თქმა სჯობს არათქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების"... ამ სიბრძნით იღწვოდნენ ჩვენი წინაპრები საუკუნეების სიღრმეში. ამ სიბრძნეს უნერგავდნენ ისინი შთამომავლობას, ამიტომაც გაუძლო გაუსაძლისს ჩვენმა ერმა და მოაღწია მოაქ ჟამამდე.

მაგრამ დადგა ჩვენს წინაშე ყველაზე მძიმე და კრიზისული ხანა, იმძლავრა კაენის სულმა და ყველაფერი თავდაყირა დააყენა. კომუნისტურმა რეჟიმმა წაართვა ადამიანს რაც კი ადამიანური გააჩნდა და ფართოდ გაუღო გზა დამბეზღებლებს და ცილის მწამებლებს. წამებით სიკვდილი და გადასახლება გახდა პატიოსანი და მტკიცე ხასიათის კაცის ხვედრი. 70 წელიართმევდნენ ადამიანს საკუთარი აზრის გამოთქმის უფლებას, 70 წელი ცდილობდნენ ჩაეკლათ მათში მებრძოლი სული. მიაღწიეს კიდეც გარკვეულწილად საწადელს – რობოტად აქციეს უზარმაზარი მასა. დაშინდა, დაჩაჩანაკდა, დაბეჩავდა ქართველი კაცი და ერმა, რომელსაც XX საუკუნის დასაწყისში რუსეთს არაერთი უდიდესი პოლიტიკოსი და ორატორი მისცა არსებითად დაჰკარგა პოლიტიკური აზროვნების კულტურაც და ტრადიციებიც.

სწორედ მიტინგებმა გამოაფხიზლა და აღაზევა ამ მხრივაც ქართველი ერის მთვლემარე ენერგია. ხომ ფაქტია, პირველ ხანებში, სულ ერთი წლის წინათ მიტინგის რიგითი მონაწილეების და თვით ტრიბუნაზე გამომსვლელებისგანაც ხშირად ისმოდა უადგილოდ წამოსროლილი, მიუღებელი და აუწონ-დაუწონავი სიტყვები და გამოთქმები, გაუმართავი და დაუხვეწავი იყო ორატორთა მეტყველება, დამაჯერებლობა და დასაბუთება აკლდა ბევრი მათგანის გამოსვლას.

საოცრად სწრაფად ჩამოსცილდა მომიტინგეთა პოლიტიკურ აზროვნებას ეს ბალასტი, საოცრად სწრაფად აუღო ალღო მიმდინარე მოვლენებს ხალხმა და ჩვენი ერისთვის ამ უდიდესი გასაჭირის პირობებში არ დაკარგა სიბრძნე და მონოლითური სიდინჯე და წინდახედულება, რათა სწორი გზით წარემართა სასიცოცხლო პრობლემების გადაწყვეტისათვის ბრძოლა.

ვინც დაკვირვებულ თვალს ადევნებს მიტინგების მსვლელობას და წინასწარ აკვიატებული აზრით არ არის განწყობილი, უსათუოდ იგრძნობს თუ როგორ შეიკრა და შეკავშირდა ჩვენი ხალხი სწორედ ამ მიტინგების წყალობით, რამდენ შედეგს მიაღწია ერმა პროტესტის ამ ფორმის გამოყენებით.

ალბათ ამიტომაც არის განწყობილი რესპუბლიკის მარიონეტული ხელისუფლება მიტინგების წინააღმდეგ, ამიტომაც გაბატონდა პრესაში აზრი თითქოსდა მიტინგებზე მხოლოდღა ემოციებით იმუხტება ადამიანები იქ გამოთქმული მოსაზრებები საღ განსჯას მოკლებულია და ამდენად საშიშია და საზიანო.

მაინც ვინ იბრძვის მიტინგების წინააღმდეგ ასე თავგამოდებით?

უპირველეს ყოვლისა, ოფიციალური ხელისუფლების მიერ დაგეშილი გაქნილი მლიქვნელები, რომლებიც თბილ ადგილებზე არიან მოკალათებულნი და ერის წინამძღოლობის პრეტენზიებიც კი გააჩნიათ, ანდა და მწყემი კარიერისტები, რომლებიც ამ გზით ცდილობენ წინსვლას იერარქიის კიბეზე.

უსუსურია ზოგიერთი ოპონენტის მტკიცება თითქოს და მომიტინგეები ხელმოცარული ადამიანები არიან, რომლებიც ხელს უშლიან ქალაქის ნორმალურ ცხოვრებას; შეიძლება იმ ზღვა ხალხში მართლაც იყვნენ თითო-ოროლა ხელმოცარულები, მაგრამ ისინი ამინდს ვერ ქმნიან. ქალაქის ნორმალური ცხოვრების რიტმი ირღვევაო – გაიძახიან სხვანი. არც ეს არის სწორი, რამეთუ ქალაქის ნორმალური ცხოვრება დიდი ხანია მონგრეულია და მისი აღმოფხვრისათვის საზოგადოებრივი ცხოვრების ძირეული შეცვლაა საჭირო. არც ისინი არიან მართლები, რომლებიც ამტკიცებენ ჩვენი ეკონომიკა მოშლილია და ასეთ პირობებში მხოლოდ და მხოლოდ დაზგასთან თავდახრილი, დღედაღამ მუხლჩაუხრელი შრომა გვიშველის და არა საპროტესტო აქციებიო. ჩვენი ეკონომიკა კატასტროფის პირას არა საპროტესტო აქციებმა (რომლის გაფიქრებაც კი ცოტა ხნის წინათ წარმოუდგენელი იყო), არამედ სწორედ იმ წყობამ მიიყვანა, რომელიც ძალით, ვანდალური მეთოდებით მოახვიეს ხალხს ბოლშევიკებმა.

მიტინგები, დემონსტრაციები, გაფიცვები და ა.შ. ბრძოლის ნაცადი და მიღებული ფორმებია ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში. დიდ წარმატებებს მიაღწია კაცობრიობაში ამ მეთოდების გონივრული გამოყენებით ქვეყნად სიკეთის გამარჯვების, ეროვნული და სოციალური სამართლიანობისათვის ბრძოლის გზაზე. ამ მეთოდებით ბრძოლის კეთილი ნაყოფი ნათლად გამოჩნდა ჩვენშიც დროის ამ მეტად ხანმოკლე მანძილზე.

კვლავაც აქტიურად უნდა მივმართოთ ბრძოლის ამ მეთოდებს ოღონდაც ფრთხილად და დროის მოთხოვნის შესაბამისად რამეთუ – ზოგჯერ თქმა სჯობს...

გ. მოსულიშვილი

ხელმძღვანელობს და ეყრდნობა რა ცივილიზირებული სამყაროსათვის მიღებულ მოთხოვნებსა და ნორმებს, განსაკუთრებით კი „ადამიანის უფლებათა დაცვის საყოველთაო დეკლარაციას“ საქართველოს ეროვნული კონსტიტუციური ალიანსის (ეკა) აცხადებს:

# საქართველოს ეროვნული კონსტიტუციური ალიანსი
# წ ე ს დ ე ბ ა

## თავი I.
## ხასიათი, მიზნები და ამოცანები

ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში, საქართველოში მოქმედი ყველა პოლიტიკურ პარტიებთან და გაერთიანებებთან ურთიერთქმედებით, მოსახლეობის ყველა ფენასთან და ეროვნებასთან კავშირში, ალიანსი ისახავს მიზნად მშვიდობიანი, პარლამენტური გზით წარმართოს თავისი საქმიანობა ახალი კონსტიტუციის შესაქმნელად, სადაც აისახება შემდეგი საპროგრამო მოთხოვნები:

### კარი I.

1. საქართველოს სრული პოლიტიკური და ეკონომიკური სუვერენიტეტის მოპოვება;
2. მრავალპარტიული სისტემის აღიარება;
3. პიროვნების ხელშეუხებლობისა და ადამიანის უფლებათა დაცვის გარანტია;
4. კერძო საკუთრების დაკანონება;
5. მიწების გლეხებისადმი გადაცემა, შემდგომი მათსავე საკუთრებად;
6. ძირითადი საწარმოების, ქარხნებისა და ფაბრიკების დეცენტრალიზაცია და დენაციონალიზაცია;
7. საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ეროვნებათა თანასწორუფლებიანობა, სახელმწიფო ენად ქართულის დაკანონებით;
8. ეროვნული ბანკის დაარსება;
9. ეროვნული არმიისა და თავდაცვითი ინსტიტუტის შექმნა;
10. კანონით ხვთისმოსაობის თავისუფლების და ყოველგვარი ჰუმანისტური მოქმედების დადასტურება;
11. ადამიანთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისა და განათლებისათვის ზრუნვა;
12. დაერდომილთა და ქვრივ-ობოლთა პატრონობა;
13. სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის (სუკ) დემონტაჟი;
14. ცენზურის სრული გაუქმება;
15. კომუნისტური პარტიის წარმართველი როლის უარყოფა.

საქართველოს სახელმწიფო სისტემის აგება დემოკრატიული არჩევნების საფუძველზე და სუვერენულ ქვეყნებთან (მათ შორის საბჭოთა რუსეთთან, ასეთი სახელმწიფოს არსებობის შემთხვევაში) ურთიერთობა სრული პარიტეტული საწყისით.

### კარი II.

1. საქართველოს ეროვნული კონსტიტუციური ალიანსი (ეკა) წარმოადგენს დამოუკიდებელ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციას და მოღვაწეობს საქართველოს ფარგლებში.

2. საქართველოს ეროვნული კონსტიტუციური ალიანსი ითვლება იურიდიულ პირად და წარმოდგენილია თავმჯდომარით, თავმჯდომარის მოადგილით ან ალიანსის პოლიტიკური მდივნით. აქვს დამოუკიდებელი ბალანსი და საკუთარი ანგარიში სახელმწიფო ან სხვა საზოგადოებრივ და კერძო ბანკში, საკუთარი ბეჭდითა და შტემპელით;

3. საქართველოს ეროვნული კონსტიტუციური ალიანსი სარგებლობს პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ორგანიზაციის სრული უფლებამოსილებით:

ა) გახსნას და დახუროს მიმდინარე ანგარიში საკრედიტო ორგანიზაციებში და აწარმოოს მათი საფინანსო ოპერაციები;

ბ) წარუდგინოს სარჩელი და უპასუხოს მოსარჩელეს, დაიცვას საკუთარი ინტერესები სასამართლო ორგანოებში და სახელმწიფო არბიტრაჟში;

გ) დადოს ხელშეკრულებები და შეთანხმებები, გასცეს მინდობილობები მატერიალურ ღირებულებათა შესაძენად;

დ) შეიძინოს, რეალიზაცია მოახდინოს და დააგროვოს ყველანაირი კუთვნილება;

ე) მიიღოს და გაათავისუფლოს მუშა-მოსამსახურეები;

ვ) ააშენოს, გაარემონტოს, რეკონსტრუქცია და ექსპლოატაცია მოახდინოს კუთვნილი ნაგებობების;

ზ) აწარმოოს როგორც ფასიანი, ასევე უფასო პოლიტიკური, მხატვრული და საჩვენებელი ღონისძიებანი;

თ) გამოსცეს გაზეთი, ჟურნალი, ბიულეტენები, აწარმოოს საგამომცემლო საქმიანობა და იქონიოს საკუთარი პოლიგრაფიული ბაზა;

ი) იქონიოს საკუთარი დაწესებულებები და საწარმოები, სხვა და სხვა სამრეწველო თუ საყოფაცხოვრებო პროდუქციის გამოსაშვებად;

კ) აწარმოოს აგიტაცია და პროპაგანდა ალიანსის სასარგებლოდ და პოპულარიზაციისათვის.

4. საქართველოს ეროვნული კონსტიტუციური ალიანსის სიმბოლიკაა:

სამფეროვანი დროშა: ლურჯი, ცისფერი და თეთრი ზოლებით – სიდინჯის, თავისუფლებისა და მომავლის რწმენის ფერები.

ემბლემა: ლურჯი, ცისფერი, თეთრი დროშის ფონზე მიმინო – თავისუფლების მოყვარული, შორსმჭვრეტელი, გონიერი და ერთგული ფრინველი, რომელსაც კლანჭებით უჭყრია ოქროსფერი ვარსკვლავი, დევიზით: „ციდან ვარსკვლავების მოწყვეტას არ ვაპირებთ, მაგრამ ბედის ვარსკვლავის კი გვჯერა“.

5. საქართველოს ეროვნული კონსტიტუციური ალიანსის ბეჭდვითი ორგანოა ყოველთვიური გაზეთი „ნათლისვეტი“

### კარი III.

ზემოხსენებული მიზნების მისაღწევად და დასახული ამოცანების შესასრულებლად საქართველოს კონსტიტუციურ ალიანსთან შექმნილია შემდეგი სამსახურები:

1. მოურავის ინსტიტუტი;
2. საშინაო და საგარეო ურთიერთობის სამსახური;
3. განათლების, ახალგაზრდობისა და სპორტის;
4. ჯანმრთელობის დაცვისა და სამედიცინო მომსახურეობის;
5. მშენებლობისა და ტრანსპორტის;
6. ეკონომიკისა და ფინანსების;
7. სოფლის მეურნეობის;
8. ენერგეტიკის;
9. თავდაცვისა და უშიშროების;
10. ინფორმაციის, მეცნიერებისა და ტექნიკის;
11. კანონმდებლობისა და მართლწესრიგის;
12. შრომის და სოციალური უზრუნველყოფის.

## თავი II.
## საქართველოს ეროვნული კონსტიტუციური ალიანსის წევრები და მათი უფლება-მოვალეობანი

### კარი IV.

1. საქართველოს ეროვნული კონსტიტუციური ალიანსის წევრი შეიძლება იყოს საქართველოში მცხოვრები ყველა სრულწლოვანი მოქალაქე განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სქესისა და რასისა, ვინც კი აღიარებს ალიანსის წესდებას და პროგრამას და უანგაროდ ემსახურება საქართველოს კეთილდღეობას.

2. კოლექტიურ წევრებად შეიძლება იყვნენ სახელმწიფო, კოოპერატიული, კერძო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

### კარი V.

1. საქართველოს ეროვნული კონსტიტუციური ალიანსის წევრი ვალდებულია:

ა) ორგანიზებულად და სისტემატიურად მიიღოს მონაწილეობა ალიანსის საქმიანობაში;

ბ) ნებაყოფლობით შეასრულოს ალიანსის მიერ დადგენილი გადაწყვეტილებანი და მითითებანი;

გ) ყაირათიანად მოექცეს ალიანსის მატერიალურ ტექნიკურ ბაზას და საკუთრებას; გაუფრთხილდეს და გაამრავლოს მისი დოვლათი.

### კარი VI.

1. საქართველოს ეროვნული კონსტიტუციური ალიანსის წევრს უფლება აქვს:

ა) აირჩიოს და არჩეულ იქნას ალიანსის ხელმძღვანელ ორგანოებში;

ბ) განიხილოს შეკრებებზე, კონფერენციებსა და ყრილობებზე პრობლემები ალიანსის შესახებ და მიიღოს პრაქტიკული მონაწილეობა მათ გადასაწყვეტად.

### კარი VII.

1. საქართველოს ეროვნული კონსტიტუციური ალიანსის წესდების დამრღვევისათვის არსებობს შემდეგი ზემოქმედება:

ა) გაკიცხვა;

ბ) დროებით ჩამოშორება დაკისრებული მოვალეობისაგან;

გ) ალიანსის წევრობიდან გარიცხვა.

2. გადაწყვეტილება ალიანსის წევრობიდან გარიცხვის შესახებ არის უკიდურესი ზომა და მისი მიღება შეუძლია მხოლოდ ალიანსის საკოორდინაციო საბჭოს.

3. გადაწყვეტილების ალიანსიდან გარიცხვის შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს ალიანსის ყრილობაზე.

## თავი III.
## საქართველოს ეროვნული კონსტიტუციური ალიანსის საორგანიზაციო სტრუქტურა და ხელმძღვანელი ორგანოები

### კარი VIII.

1. ალიანსის სტრუქტურა აგებულია დემოკრატიული არჩევნების საფუძველზე.

2. მის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს ყრილობა რომელიც ამ ეტაპზე იმართება ყოველწლიურად. ყრილობის დეპუტატებად აირჩევიან 2-2 დეპუტატის რაოდენობით საქართველოს თითოეული ადმინისტრაციული რაიონიდან.

### კარი IX.

1. ყრილობა განიხილავს და იღებს გადაწყვეტილებებს საკოორდინაციო საბჭოს მოხსენებების მიხედვით.

2. იღებს ახალს ან შეაქვს შესწორებები ძველ წესდებაში.

3. ირჩევს 4 წლის ვადით ფარული და ღია კენჭისყრით (ხმათა უმრავლესობის მიხედვით) ალიანსის საკოორდინაციო საბჭოს 33, აგრეთვე სარევიზიო კომისიის 5 კაცის შემადგენლობით.

### კარი X.

1. საკოორდინაციო საბჭო უძღვება ალიანსის მოღვაწეობას ყრილობიდან ყრილობამდე, ხელმძღვანელობს მის საქმიანობას და აკონტროლებს ყრილობის მიერ მიღებული დადგენილებების ცხოვრებაში გატარებას.

2. ალიანსის საკოორდინაციო საბჭო მოიწვევა თვეში ერთხელ.

3. ალიანსის საკოორდინაციო საბჭოს ყოველდღიურ საქმიანობას ხელმძღვანელობს მის მიერ არჩეული და ყრილობაზე დამტკიცებული, საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარე, მოადგილე და პოლიტიკური მდივანი არსებულ სამსახურების ხელმძღვანელობასთან ერთად.

### კარი XI.

1. საქმის წარმოებას და საფინანსო-სამეურნეო მოღვაწეობას აკონტროლებს სარევიზიო კომისია, რომელიც პასუხისმგებელია თავისი საქმიანობით ყრილობის წინაშე.

## თავი IV.
## საწევრო გადასახადები და ალიანსის სხვა შემოსავლის წყარო

### კარი XII.

1. საქართველოს ეროვნული კონსტიტუციური ალიანსის წევრი ვალდებულია გადაიხადოს ალიანსის სასარგებლოდ მთელი თავისი ყოველთვიური შემოსავლის ერთი პროცენტი;

2. ალიანსის იურიდიული წევრი ორგანიზაცია ალიანსის სასარგებლოდ იხდის ხელშეკრულებით ვალდებულ თანხას.

### კარი XIII.

1. ალიანსის სხვა შემოსავლის წყაროებია:

ა) ჟურნალ-გაზეთების რეალიზაციისგან;

ბ) საგამომცემლო და პოლიგრაფიული საქმიანობიდან;

გ) საწარმოო-დაწესებულებებიდან;

დ) მხატვრული, გასართობი და სხვა სანახაობებიდან;

ე) ცალკეული მოქალაქეებისა და კოლექტივებისაგან შემოწირულებათა სახით:

საქართველოს ეროვნული კონსტიტუციური ალიანსის უძრავ-მოძრავი ქონება ხელშეუხებელია, ხოლო შემოსავალი მოგების სახით ჩამორთმევას არ ექვემდებარება.

საქართველოს ეროვნული კონსტიტუციური ალიანსის უფლებას იტოვებს საჭიროებისამებრ შეიცვალოს სახელი, გაერთიანდეს სხვა ორგანიზაციასთან ან მოახდინოს თვითლიკვიდაცია.

*საქართველოს ეროვნული კონსტიტუციური ალიანსის საკოორდინაციო საბჭო*

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნათლისვეტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს ეროვნული კონსტიტუციური ალიანსის საკოორდინაციო საბჭოში

შედგა საქართველოს ეროვნული კონსტიტუციური ალიანსის დამფუძნებელი საბჭოს სხდომა.

გადაწყდა სათანადო სამსახურების ჩამოყალიბებისა და მათი ურთიერთობის უკეთ კოორდინირების მიზნით საქართველოს ეროვნული კონსტიტუციური ალიანსის დამფუძნებელი საბჭო გარდაიქმნას საკოორდინაციო საბჭოდ.

საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარემ ზურაბ ჭანიაშვილმა ამავე სხდომაზე წარმოადგინა განსახილველად ალიანსის წესდების პროექტი.

ხმათა უმრავლესობით წესდება მიღებული იქნა.

დაისვა საკითხი გაზეთ „ნათლისვეტის“ პერიოდულობის შესახებ. გადაწყდა, გაზეთი გამოიცეს ყოველთვიურად. ამასთანავე აღინიშნა, რომ ჯერ კიდევ დაბალია მისი ბეჭდვის ხარისხი, ამიტომ აუცილებელია ზრუნვა საკუთარი პოლიგრაფიული ბაზის მოპოვებისათვის.

სხდომაზევე აღინიშნა, რომ რესპუბლიკის პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობა საგანგაშოა. ხელისუფლება ვერ ფლობს სიტუაციას და ის ისევ ისევე ძველი მეთოდებით აპირებს იოლად გასვლას ე.ი. ლენინისა და ზოზინის პოლიტიკას არ ღალატობს, უფრო სწორად ელოდება ზემოდან მითითებებს – ეშინია „ვაი თუ“.

– – – – –

ამასთანავე ცოტა თვალის გახელვაც არის საჭირო. სხვა რესპუბლიკებში (უფრო კი ბალტიისპირეთში) ხალხი და ხელისუფლება უკვე ერთი კარიდან შედიან და გადიან. ჩვენთან კი ეგრეთწოდებულმა კორუმპირებულმა მთავრობამ ისე გაიტეხა სახელი, რომ ვეღარ მოუხერხებია საერთო ენის გამონახვა საკუთარ ერთან.

საჭიროა რადიკალური ზომების მიმართვა, დღეს ერი და ბერი უნდა გაერთიანდეს და შეკავშირდეს. ამას მოითხოვს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ინტერესები. ნდობადაკარგულმა „აქტივმა“ კი ნებაყოფლობით დაუთმოს ადგილი ღირსეულთ.

# • თუ განგებამ ინება •

### შეგონება მეორე

სამოცდაათი წლის „კვლევა-ძიების“ შემდეგ იმ დასკვნამდის მივედით, რომ იმპერია არსებულა და საუბედუროდ ჩვენ მაინცა და მაინც ამ იმპერიაში გვიცხოვრია.

იმ დასკვნამდის მივედით, რომ ჩვიდმეტი წლის 25 ოქტომბერს მომაკვდავი იმპერიის რეანიმაცია მომხდარა და სხვა არაფერი. ამას ახლა აღარა აქვს მნიშვნელობა რას დავარქმევთ მას. ზოგი კავშირს უწოდებს, ზოგი სიყვარულით და სიამაყით – „დერჟავას“ ზოგი კი დაუფარავად იმპერიას.

მაგრამ თუ განგებამ ინება და იმპერია დაემხო, და ეს ალბათ ასეც მოხდება, რადგანაც ამისთვის დღეს უკვე ყველა პირობა არსებობს (თუ არა და საკითხავია, რამდენჯერ შეიძლება მომაკვდავის რეანიმაცია?) მაშინ დროული იქნებოდა დაგვესვა რამდენიმე შეკითხვა ან უფრო სწორად მიგვეცა რამდენიმე რჩევა-დარიგება მათთვის, ვისაც აბარია იმპერიის მართვა-გამგეობა. და თუ მათ ხმას ვერ მივაწვდით, მაშინ იმათთვის, ვისაც შეუძლია მათ ხმა მიაწვდინოს და ვინც ამას მშვენივრად ახერხებს, ეს გაზეთი „ლენინსკოე ზნამია“ იქნება თუ სხვა:

თუ არ უნდათ რომ რომის, საბერძნეთის ანდა მონგოლთა დიდი იმპერიების ხვედრი გაიზიარონ, რომელიც აღიგავნენ მიწისაგან პირისა და დღეს მათი ნასახიც კი არ არის დროულია, დროულად შექმნან ისეთი მართვის ინსტიტუტი, როგორც თავის დროზე დიდმა ბრიტანეთმა თავის გადასარჩენად მოახერხა. ე.ი. გამოაცხადონ ერთა ლიგის თანამეგობრობის კავშირი (სუვერენულ სახელმწიფოთა გაერთიანება) პარიტეტული საწყისით.

### შეგონება მესამე

იმპერია რომ სულს დაფავს და ცხადია დღეს თუ არა ხვალ მაინც დაემხობა – მაშინ დროული იქნებოდა რამდენიმე შეკითხვა, ან, უფრო სწორად რჩევა-დარიგება მიგვეცა მათთვისაც, ვისაც ჯერ კიდევ ხელთა აქვთ მართვა-გამგეობის სათავეები რესპუბლიკაში.

პირველი – თუნდაც, ბოლო დროის აღმოსავლეთ ევროპის, უფრო ხაზგასმით რუმინეთის ამბებმა ნუთუ თვალნათლივ არ დაგვანახა ტოტალიტარული რეჟიმები დღეისათვის ანაქრონიზმს რომ წარმოადგენენ და ერთიმეორის მიყოლებით და კალეიდოსკოპური სიჩქარით რომ ემხობიან?!

მეორე – იგივე რუმინეთის ამბებმა განა არ ცხადყვეს, ჩათრევას ჩაყოლა რომ სჯობს. არადა სისხლის ღვრა გარდაუვალია და ძალაუფლების შენარჩუნებაზე ფიქრი კი სათუო, რაც არ უნდა „სეკურიტატე“ (საბჭოური სუკ-ის პირმშო და დუვალიეს „ტონ-ტონ-მაკუტის“ მსგავსი რამ) გყავდეს და თუნდაც უცხოეთიდან ჩამოყვანილი უპატრონო ბავშვების „იანიჩრად“ გაზრდილი ლეგიონები.

ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე:

–რადგან იმპერიის რღვევა ფაქტია, ხოლო ტოტალიტარული რეჟიმების დამხობის პროცესი შეუქცევადია, ახლავე ვიფიქროთ, უფრო სწორად, მართებული იქნება ვისაც ხელი მიუწვდება იზრუნოს არა თბილი ადგილების შენარჩუნებაზე, არამედ დემოკრატიული ინსტიტუტების შექმნაზე.

ადრეც აღვნიშნეთ არსებული სისტემის პირობებში გამორიცხულია ხალხის კეთილდღეობაზე ფიქრიც კი (იხ. გაზეთი „ნათელსვეტი“ №2) უნდა შეიქმნას დემოკრატიული, პარლამენტური სისტემა, არა ქაღალდზე, არამედ საქმით. მათ კი ვინც დღეისათვის განსაზღვრული დისიდენდები გააჩნიათ (ღმერთმა შეარგოთ) უნდა იცოდნენ, რომ ყოველივე ეს უნდა ხდებოდეს ჭეშმარიტი შრომით და ერის სამსახურისადმი თავდადებით. პარლამენტი კი დაკომპლექტებული უნდა იყოს მხოლოდ და მხოლოდ პროფესიული კანონმდებლებით.

ჯ. ზურაბიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ღვარძლი

ჟურნალ „პარტიული სიტყვის“ 1989 წლის 23 ნომერში ჩვენს შესახებ გამოქვეყნებული კინტოს ენით დაწერილ წერილს თავს არ გავუყადრებდით ერთი გარემოება რომ არა...

ვინმე ქიზიყელი შაქრო ტოპრაკაშვილის უკან ზემოდხსენებული „ჟურნალის“ ფურცლებს სხვა უფრო ავი სულია ამოფარებული. ავი სული კი აქამდის მობოგინე კომუნისტური პროპაგანდაა, ის პროპაგანდა, რომელმაც აღარ იცის და ვერ გარკვეულა, რომ არავის უნდა მისი დღევანდელამდის მაუზერის ენით მოლაპარაკე ცრუ იდეოლოგია.

კახელ-ქიზიყელნი ძარღვიანი, გამართული ქართულით მეტყველებენ. წერილის ავტორებმა კი თავი გაიყიდეს, რადგან „კონცეფცია“ მდაბიური, კნინი ენით ჩამოაყალიბეს. და კიდევ, წერილის ავტორი მართლა ქიზიყელი რომ იყოს, ვინმე კაციჭამია და ქიზიყის ამაოხრებლის XI არმიის ერთ-ერთი კომისრის კურიჩკოს მიერ დარქმეულ წითელწყაროს ნაცვლად თავისი რაიონის სახელწოდებად დედოფლის წყაროს იხმარდა. გარდა ამისა, თუ თუქურმიშელ კაცს საზამთროს ხსენება დასჭირდებოდა, ყარფუზს უფრო იტყოდა.

უბედურება ის არის თქვენისთანა ვაი-პატრიოტებმა ქიზიყელი გლეხი იქამდის მიიყვანა, საუკუნეებით ნალოლიავები ვაზი გააკაფვინა და მის მაგივრად საზამთრო დაათესინა. საზამთროს ვამბობ, თორემ აბა რა საზამთროა ქიმიკატებისგან მოშხამული, რომელიც ალბათ არანაკლებ ზიანს აყენებს ადამიანს, ვიდრე ცენტრიდან გამოგზავნილი რადიაციული საქონლის ხორცი.

აი, სადამდის მივედით და სადამდის მიიყვანეთ ხალხი თქვენი მრუდე აზროვნებით ანუ პარტიული სიტყვით.

შაქრო ტოპრაკაშვილს კი თუ მართლა არსებობს ასეთი, რაში სჭირდება თქვენი პარტბილეთი? უიმისოდ, რა, ვერ უბლაყუნებს ოჯიან თოხს?

საერთოდ ქიზიყელი გლეხი „პარტიულ სიტყვაზე“ გონიერია და ჩვენს გარეშეც მოიფიქრებს, პარტბილეთს რა მოუხერხოს.

არადა, ჩემი შენ გითხარიო! თქვენ რომ სამოცდაათი წლის მანძილზე ერთთავად ბოროტებას თესავთ და ნიადაგს ღვარძლით აპოხიერებთ, რა გასაკვირია ბოლმა რომ მოიმკოთ? იმიტომაც არის, კაცი კაცს რიგში ბენზინს რომ ასხამს და ცეცხლს უკიდებს, ანდა, ერთ დღეში ორ „კანონმდე-

ერთ დღეში ორ „კანონმდებელს“ რომ ჰკლავს და მესამესაც საიქიოში ისტუმრებს.

ნუთუ ეს თქვენთვის არაფრის მთქმელია?

გეყოთ, ახლა მაინც მოიქეცით ისე, ცეცხლზე ნავთი რომ არ დაასხათ.

ნუთუ აღმოსავლეთ ევროპაში მომხდარი ამბები, რუმინეთის სისხლიანი კვირა თქვენთვის გაკვეთილი არ არის?

ვწერ ამას და თითქოს ვიღაც ჩამძახის:

შეაყარე კედელს ცერცვიო.

და მაინც, უნდა ვთქვათ – ჩვენ ობიექტურ კრიტიკას არ გავურბივართ, მაგრამ ბოლშევიკური მეთოდებისა არაფერი გვწამს

ვანო აბულაშვილი

---

# ღალატის დარი დანაშაული

> მინდა აღვნიშნო ასეთი დეტალი: აქტივის კრებაზე გენერალ კოჩეტოვის გამოჩენას მონაწილენი მქუხარე ტაშით შეხვდნენ.
>
> ა. სობჩაკი.

ეს სიტყვები 9 აპრილს თბილისში მომხდარი ამბების გამოსაძიებლად შექმნილი კომისიის თავმჯდომარის ა. სობჩაკის სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა მეორე ყრილობაზე გაკეთებული მოხსენებიდანაა ამოღებული. მან საქართველოს ხელმძღვანელობას და პარტიულ აქტივს ბრალად დასდო შემზარავი დანაშაული, თავიანთივე ერის სასტიკი დასჯა:

„... ძალის გამოყენებით მიტინგის შეწყვეტის გადაწყვეტილება მიულია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს, შემდეგ განუხილავს რესპუბლიკის პარტიულ აქტივს და ამავე აქტივს მხარი დაუჭერია მისთვის“

ვაი, რომ ყოველივე ეს სწორია და საქართველოს ხელმძღვანელობის და მასთან დაახლოებული „მოწინავე“ პიროვნებების მიერ ქართველთა მიმართ ჩადენილი ღალატის ტოლფასია. აქტივის კრებას კი ესწრებოდა არა ათი, და ოცი, არამედ რამდენიმე ასეული ადამიანი. და ისინი ტაშს უკრავდნენ ძალადობას და სიკვდილს, რასაც საბჭოთა ჯარის მშვიდობიანი მოქალაქეების წინააღმდეგ გალაშქრება მოასწავებს ხოლმე. მათ ამ საშინელების ტრაგიკული მაგალითი თვალწინ ედგათ 1956 წლის 9 მარტის ხოცვა-ჟლეტის სახით და მაინც ტაშს უკრავდნენ. უეჭველია ისინი საკუთარი ძალაუფლებისა და თავგასული კეთილდღეობის გადარჩენისათვის ზრუნავდნენ.

და აი, იმ აქტივის კრების მონაწილენი კვლავ საქართველოსა და ქართველი ხალხის ბედ-იღბალზე „ზრუნავენ“. ისინი კვლავ აქ ზევებულნი არიან და თბილად გრძნობენ თავს რბილ სავარძლებში. არა, მათ არა აქვთ უფლება ეკავოთ ხელმძღვანელი თანამდებობები, მათ არა აქვთ უფლება გამოდიოდნენ ქართველი ხალხის სახელით, იყვნენ წარგზავნილნი ერის ინტერესების დამცველად და ჯალათების გამკითხავად. მათ არ ძალუძთ ცრემლი შეუშრონ დაღუპულთა ჭირისუფალთ, რადგან საერთო უბედურებაში მათი ხელიც ურევია. მათი მოქმედება ახლა უფრო ქამელეონურია, ვიდრე გულწრფელი.

არა, ქართველი ერი მათ არ ენდობა. უნდა გადადგნენ ნებით, სანამ ჯერ კიდევ დროა. ეს არის ხალხის მოთხოვნა.

ნეოლიბერალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# Стриптиз—

## — ქრონიკა

# პროკურორო !!!

როგორც მოგეხსენებათ, თბილისში, რუსთაველის პროსპექტზე, სამხატვრო გალერეის კიბეებზე გრძელდება შვილებდახოცილ, ძალით მოსილ დედათა მჯდომარე გაფიცვა. დედები მოითხოვენ მკვლელთა და მათ ხელისშემწყობთა გამოძებნას და დასჯას. ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენი კორესპონდენტი შეხვდა რესპუბლიკის პროკურორს ბ-ნ რაზმაძეს და რამდენიმე კითხვით მიმართა:

– ბ-ნო პროკურორო, როგორ აფასებთ დედათა ასეთ აქციას და რა გავლენას ახდენს იგი თქვენზე, როგორც სამართალდამცავი ორგანოს უსაჩინოეს თავკაცზე?

– შეძრწუნებული ვარ! როდესაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში, ანდა, მინისტრთა საბჭოში მივიჩქარი და გზად მათ შევცქერი სახეზე მწუხარების ღიმილი გადამეკვრება და თვალზე ნიანგის ცრემლი მომიმრავლდება. ძალიან განვიცდი, ძალიან.

–ბ-ნო პროკურორო, როდემდე გაგრძელდება ეს აქცია და უახლოეს დღეებში თქვენი მხრივ დახმარებას უნდა ელოდნენ თუ არა?

– რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა! მოგეხსენებათ ამჟამად რესპუბლიკაში საკმაოდ რთული სიტუაციაა, თავისი განრიგით არც თვითმფრინავები დაფრინავენ, არც მატარებლები დადიან და არც ავტობუსები. ყველაფერ ამას ბენზინის დეფიციტს აბრალებენ, მაგრამ ჩვენ არა გვაქვს საბაბი, ასე ვიფიქროთ. გადაწყვეტილი გვაქვს ყველა მათგანი სახლებში „ჩორნი ვორონით" გავამგზავროთ...

–ხელცარიელნი?

– რატომ ხელცარიელნი, თითოეულ მათგანს საჩუქრად გადავცემთ შოკოლადის კანფეტს „დათუნია ჩრდილოეთში", მე მგონია, ამით კმაყოფილნი იქნებიან.

– ბ-ნო პროკურორო, ბოლოს და ბოლოს გამოააშკარავებთ თუ არა მკვლელებს?

–როგორ გეკადრებათ, გამოაშკარავება როგორ შეიძლება, მათ ხომ დიდძალი თანხა გაიღეს გამომძიებლებისა და პროკურატურის მუშაკთა სასარგებლოდ.

– მოშიმშილეები, მოშიმშილეებს რაღას ეუბნებით? ისინი ხომ პასუხს ელიან?

–არა უშავს, ელოდნენ, განა ალექსანდრე დიუმამ არ განაცხადა „ელოდე და იმედი იქონიე!"

პროკურორო!!!

ინტერვიუ აიღო
ცისკარ ღოღელმა

გუშინ სსრ კავშირის მეფრინველეობის ყველა ფაბრიკაში გაიფიცა კვერცხის მდებელ დედალთა 80%-ზე მეტი. როგორც საკდესის სპეციალური კორესპონდენტი გვატყობინებს მათ უმალ შეუერთდა პოლონეთის უნგრეთის და ბულგარეთის მეფრინველეობის ფერმების ყველა ბინადარი. გაფიცულნი მოითხოვენ შეწყდეს თბილისში 7,9 და II კაპიკიანი კვერცხების I3 კაპიკად გაყიდვა. გაფიცულები უარს ამბობენ კვერცხის დადებაზე და კატეგორიულად აცხადებენ, რომ კვერცხი დიეტურია მხოლოდ განსაზღვრული დროის მანძილზე და შემდეგ მათი დიეტურად გასაღება დანაშაულია.

XXX

გუშინ თავისი სურვილით გადადგა საქართველოს ე.წ. ხელისუფლება. მათ აღიარეს, რომ ბრალი მიუძღვით 9 აპრილს თბილისში მოწყობილ ხოცვა-ჟლეტაში. მაგალითი თავად ახლად არჩეულმა „პრეზიდენტმა" უჩვენა, რომელმაც სახალხოდ აღიარა, რომ იგი იყო მომიტინგეთა გასარეკად თბილისში შინაგანი ჯარების მოპატიჟების ერთ-ერთი ავანჩავანი.

ხალხმა „პრეზიდენტი" აელში აიტაცა და ისე გამოიყვანა კაბინეტიდან.

## ცირკი

თბილისის ცირკს დიადემათ ხუთქიმიანი წითელი ვარსკვლავი ადგას. შესანიშნავი ჩანაფიქრია. ცირკი ხომ როგორც პირდაპირი, ასევე გადატანილი მნიშვნელობითაც ცირკია!

## საჭიროა თვითლიკვიდაცია

საქართველოში იმპერიის მე-5 კოლონიამ სკკპ-მ თვითლიკვიდაცია უნდა მოახდინოს. მისი აურაცხელი უძრავ-მოძრავი ქონება კი ხალხის მიერ აღიარებულ პარტიებს შორის განაწილდება.

სტრიპტიზი: ინგლისური სიტყვაა და ნიშნავს გაშიშვლებას, და სწორედ, ჩვენც ასევე ვაპირებთ კოსებული სისტემა გავაშიშვლოთ, ბეჯითურად და მთლიანად



Время другое. И мы другие.

ვითომ?

არ გადირეულდა ნადეჟდა კონსტანტინოვნა (ბელადის მეუღლე) ამის მნახველი?

პასუხისმგებელი გამომცემაზე საქართველოს ეროვნული კონსტიტუციური ალიანსის საკოორდინაციო საბჭო
ჩვენი მისამართია 380031 თბილისი იოანე პეტრიწის 19/70 ფ 1 ა